X თავი
საუნივერსიტეტო სტიპენდიები

(განახლებული რედაქცია - 2025წ. ივლისი)

ბსუ–ს სტუდენტებს შესაძლებელია დაენიშნოთ შემდეგი სახის სტიპენდიები:

1. **„პირველსემესტრელის სტიპენდია“**, ყოველთვიურად **100 ლარის** ოდენობით - ენიშნება პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის იმ სტუდენტს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხება აბიტურიენტის განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) მის მიერ პირველ ნომრად მითითებულ, „ბსუ-ს სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის” **(სტუდენტთა გზამკვლევის დანართი 4**) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ“ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამაზე და ამავდროულად, ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის ბსუ-ს მიერ განსაზღვრული არჩევითი საგნის გამოცდაზე მიღებული აქვს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი ქულა (სკალირებული);

2. ბ) **„შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია“,** ყოველთვიურად **500 ლარის** ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბსუ-ს რომელიმე პროგრამის სტუდენტს (გარდა სამაგისტრო პროგრამისა), **სწავლების მე-2 სემესტრიდან**, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში), „საშუალო შეწონილი” ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები (შენიშვნა: საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;);

(ძალაშია 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან)

3. გ) **„ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია“,** ყოველთვიურად **500 ლარის** ოდენობით, ენიშნება ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ, ბსუ-ს **სამაგისტრო** პროგრამის სტუდენტს, **სწავლების მე-2 სემესტრიდან,** რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) „საშუალო შეწონილი” ფორმულით მიღებული აქვს 91 ქულა ან მეტი, ათვისებული აქვს წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და რომელიც გამოირჩევა სამეცნიერო აქტივობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები (შენიშვნა: საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$

A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა;).

(ძალაშია 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან)

4. **„ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია“** - ყოველთვიურად **190 (**ასოთხმოცხდაათი**)** ლარის ოდენობით - ენიშნება კონკურსის წესით შერჩეულ, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტუდენტის სტატუსისმქონე 8 (რვა) სტუდენტს, სწავლის მეორე წლიდან **(მესამე სემესტრიდან),** სტიპენდია თითოეულ სემესტრში გაიცემა ერთჯერადად, სტიპენდიის გაცემის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
5. **სახელმწიფო სტიპენდია** - თვეში **300 ლარის** ოდენობით - ბსუ-ში გაიცემა სახელმწიფო პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და თითოეულ სემესტრში გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით (თვეების მიხედვით), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პერიოდის გათვალისწინებით.
6. **საქართველოს ბანკის სტიპენდია** - არ აღემატება ერთი სემესტრის სწავლის საფასურს - **1125 ლარს** და გაიცემა ერთჯერადად, ჩატარებული კონკურსის შედეგად (შემოდგომის ან/და გაზაფხულის სემესტრში), საქართველოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული დაფინანსების ფარგლებში. **საქართველოს ბანკის სტიპენდია ენიშნება** ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში - **პროგრამა)** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული და აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტებს. საქართველოს ბანკის სტიპენდიით მიმდინარე სემესტრში დაიფარება სტიპენდიატი სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასური (50/70 % სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სწავლის სხვა ნაწილობრივი დაფინანსების, ასევე შესაბამის სემესტრში დარეგისტრირებული კრედიტების საფასურის გათვალისწინებით).
7. **სხვა სახის სტიპენდიები მაღალი აკადემიური მოსწორების მქონე** ბსუ-ს სტუდენტებს ენიშნებათ ბსუ-თან გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ან/და შემოსული წერილის საფუძველზე, ფიზიკური ან იურიდიული პირის დაფინანსებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად:

ა) **„მწვანე სტიპენდია“** - მხოლოდ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის, სემესტრულად 1500 ლარი;

ბ) **„გუდავაძე-პატარკაციშვილის სახელობის სტიპენდია,** სემესტრულად (5 თვე), **თვეში 150 ლარი** - ბსუ-ს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 10 სტუდენტისათვის;

გ) **„თამაზ ბექაიას სახელობის სტიპენდია“** - ბსუ-ს 3 სტუდენტისათვის (მათ შორის მედიცინის და განათლების მიმართულებით), ბსუ-ს 2 ფაკულტეტიდან, თამაზ ბექაიას ფონდის მიერ განსაზღვრული ოდენობით;

დ) **„ ELT ბილდინგის სტიპენდია“** - სემესტრულად (5 თვე), **თვეში 300 ლარის** ოდენობით,

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის 3 სტუდენტისათვის;

ე) <u>სხვა ფიზიკურ პირთა სახელობის სტიპენდია</u> (თუკი შესაბამის წელს დაწესებულია დამფინანსებლის მიერ).

<u>სტუდენტს ერთდროულად **ორი სახის სტიპენდია არ ენიშნება.**</u>

ბსუ-ს სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა-გაცემის რეგულაციას ადგენს ბსუ-ს შემდეგი სამართლებრივ აქტები და გაფორმებული მემორანდუმები:

ა) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ს <u>სტიპენდიების</u> <u>დანიშვნისა და გაცემის წესი“** (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი N4);**

ბ) ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის <u>**ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი**</u> (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი N5);**

გ) ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის N01-02/212 ბრძანებით დამტკიცებული ,,**ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი“** (სტუდენტთა გზამკვლევის **დანართი N35);**

დ) მემორანდუმი ბსუ-ს და ,,ELT ბილდინგს“ შორის;

ე) მემორანდუმი ბსუ-ს და თამაზ ბექაიას ფონდს შორის;

ვ) მემორანდუმი ბსუ-ს და ,გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს შორის;

ზ) მემორანდუმი ბსუ-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის.